ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1566157

ნომერი: AR1243241

თარიღი : 18.10.2014

გაცემის თარიღი : 29.10.2014

გაცნობის თარიღი : 29.10.2014

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 39 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე აბულაძე პ/ნ 62001003516
- თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. #17

ნომენკლატურა :

- პოლიკლინიკა
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 1527686
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 13.10.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: პოლიკლონიკა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირაკლი გოგოხია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ქალაქ თბილისის 12 შერეული ტიპის პოლიკლინიკა

- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404456110

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "ქალაქ თბილისის 12 შერეული ტიპის პოლიკლინიკა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404456110
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ალექსანდრე აბულაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 62001003516

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 383.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 240.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 759.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 24.9
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3652.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 3508.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 144.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 16.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 15.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 0.8
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 38 კ1=0.6 დადგენილი საშუალო მაჩვენებლი კ1=0.7 პროექტით მიღებული მაჩვენებელი კ1=0.6
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 928.1 კ2=2.4 დადგენილი საშუალო მაჩვენებელი კ2= 4.1. პროექტით მიღებული მაჩვენებლი კ2=2.4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 23 კ3=0.1
- .პალატების ფართობი (კვ.მ): 734.5

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

საკითხის შესწავლისას სამსახურის მიერ თქვენს მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში გამოვლენილი იქნა ხარვეზები, კერძოდ:

1. წარმოდგენილი იქნეს იპოთეკარის შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით;
2. წარმოდგენილი იქნეს არქიტექტურული პროექტის სრულყოფილი განმარტებითი ბარათი;
3. გენგეგმაზე არ არის ნაჩვენები შესაბამისი ქუჩები, შესაბამისად არ ჩანს ქუჩიდან საპროექტო მიწის ნაკვეთთან მისასვლელი საავტომობილო გზა;
4. გენგეგმის ველში დამატებით ატვირთული იქნეს ტოპო გეგმა;
5. გენგეგმასა და გეგმაზე დატანილი უნდა იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი, ამასთან საპროექტო დოკუმენტაციაში დაცული იქნეს ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი;
6. პროექტის ვექტორულ ფაილში ატვირთული ტოპო გეგმის და ფოტო მასალის მიხედვით გათვალისწინებულია მწვანე ხე-ნარგავების მოჭრა. აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს თანხმობა ქ. თბილისის მერიის ეკოლოგიის და გამწვანების საქალაქო სამსახურიდან მწვანე ხე–ნარგავების მოჭრასთან დაკავშირებით;
7. pdf ვერსიაში გეგმებზე ნაჩვენები იქნეს შესაბამისი საანგარიშო კროკები, ამასთან საპროექტო დოკუმენტაციაში მითითებული იქნეს 0.00 ნიშნული აბსოლუტურ ნიშნულთან მიმართებაში;
8. კ1, კ2, კ3 კოეფიციენტების გრაფებში მითითებული იქნეს საპროექტო საანგარიშო ფართობები და მაჩვენებლები შესაბამისი ფუნქციური ზონების ფართობებთან მიმართებაში, რაც ასევე ასახული უნდა იქნეს შესაბამის საანგარიშო

კროკებზე;
9. შენობა N1-ის სახურავზე გათვალისწინებული ტერასა განთავსებულია სამეზობლო მიჯნის დარღვევით. არაექსპლუატირებადი სახურავის მოწყობის შემთხვევაში, აღნიშნული მითითებული იქნეს საპროექტო დოკუმენტაციაში, მათ შორის სახურავის გეგმაზე;
10. სასურველია შენობა N1 და შენობა N2 ნაჩვენები იქნეს საერთო გეგმებზე (თქვენს მიერ წარმოდგენილია შენობების N1 და N2 ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ნახაზები, შესაბამისად მკაფიოდ არ ჩანს შენობების ერთმანეთთან მიმართებაში განთავსება);
11. წარმოდგენილი იქნეს შენობა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლის განსაზღვრის სქემა (გენგეგმა საანგარიშო მანძილების ჩვენებით, მათ შორის უმოკლესი L მანძილით, სხივის სქემა და ფორმულის მიხედვით ანგარიში). შენობის მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრული იქნეს მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ არსებული კიბის (რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივ სივრცეს) მხრიდან;
12. არ არის შევსებული გრაფა "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი".

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორების შემდგომ საკითხი განსახილველად გადაეცემა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოს, კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს "კულტურული მემკვიდრეობის დამცავი ზონების სექცია"–ს.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7) დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.